საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/88

ქ. ბათუმი 21 ივლისი, 2023 წ.

2023-2024 სასწავლო წელს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, გადაწყვეტილების, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თესაუ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ბსუ) შორის **„განათლების მეცნიერებების“** ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით **2020 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულების,** ,,ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებების“ დამტკიცების შესახებ” **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N06-01/37 დადგენილების,** ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო <u>პროგრამის “განათლების მეცნიერებები“ სწავლის საფასურის</u> განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 18 დეკემბრის N07-01/103 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ნოემბრის N134 დადგენილების (ცვლილება და დამატება - 2021 წლის 25 ნოემბრის N06-01/123 დადგენილებით), ,,ბსუ-ს დოქტორანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცებისა და ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 ივლისის N01-02/102 ბრძანების (N3 დანართი), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№23-05/07, 15.06.2023) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 9 23 0000706204, 16.06.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 2023-2024 სასწავლო წელს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე (თსუ/ბსუ-/თსაუ/აწსუ) „განათლების მეცნიერებები“ **მისაღები კონტინგენტი** განისაზღვროს **2** (ორი) **ადგილით**.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

4. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**